# ის ჩვენს ეროს ცხოვრობდა

-

- - –

ჩვ.წ.აღ-მდე ოცდამეათე წელს, რომის იმპერია იყო 780 წლის. იგი მოიცავდა ხმელთაშუა ზღვის ყველა ქვეყანას, ესპანეთიდან და გალატიიდან, ეგვიპტესა და სირიამდე.
საფრანგეთი
ესპანეთი
იტალია
საბერძნეთი
რომი
აფრიკა
სირია
პალესტინა
იერუსალიმი
ერთ დღეს, რომის სასახლეში, პილატეს მმართველობისას, რომელიც იერუსალიმში განლაგებულ ჯარსაც მბრძანებლობდა,...
პალესტინაში, იუდეის დედაქალაქში და ეკუთვნოდა რომს სირიის პროვინციაში.
კაპიტანო, რა სიახლე გაქვს შენს საკვირაო ანგარიშში?
მმართველო, ხალხის დიდი ბრბო დავინახე იორდანეს მდინარესთან, სადაც ვიღაც იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა. სჯერათ რომ წინასწარმეტყველია...
ხალხს ნათლავს და მომავალი, ახალი ლიდერის მოსვლაზე ლაპარაკობს, მესიად წოდებულზე.
ჰმ... გასაგებია, სხვა ლიდერი, რომელიც ახალ ჯარს შეკრებს და რომაელებს გაგვდევნის, არა...
პირველი და უკანასკნელი ლიდერი არ არის. მაგრამ, ჯერ არავის მიულწევია წარმატება ჩვენს განდევნაში!
დიახ, ეს ებრაელები განსაკუთრებული ხალხია.
ისინი არიან ერთადერთი ხალხი, რომელთა გატეხაც შეუძლებელია... მმართველი ტიბერიუსიც კი ნებდება მათ. როდესაც, ეს სასახლე ოქროს ნახატებით მოვრთე და ჩვენი რომაელი ღმერთები გამოვფინე, მან მიბრძანა რომ ჩამომეხსნა!

ამ ებრაელებისათვის ეს წმინდა ქალაქის წაბილწვას ნიშნავს. მათი ღმერთის ნებისმიერი სურათი აკრძალულია. ჩვენი სიმბოლოები, რომის იმპერიასთან დაკავშირებული,
მიჩნეულია როგორც ღვთის გმობა, საჩივარი აღძრეს ტიბერიუსის წინააღმდეგ... და მოიგეს კიდეც საქმე!
ძალიან რთულია მათზე ბატონობა. ჩემი საქმიანობა, როგორც იერუსალიმის გამგებელი ყველაზე არასასიამოვნოა მთელს იმპერიაში!
შაბათს არ მუშაობენ, ნება ეძლევათ არ შეუშვან ტაძარში არა-ებრაელები, რადგან რჩეულ ხალხად მოაქვთ თავი.
მართალია. მხოლოდ ეს ებრაელები არიან მთელს სამეფოში, რომლებიც ჩვენი რომის ღმერთს არ ემსახურებიან!
ოხ, ეს იერუსალიმის ტაძარი! რა საშინელებაა! როდესაც 200.000 მომლოცველი ჩამოვა, ებრაული დღესასწაულისათვის, მაშინ კი ფრთხილად უნდა იყო! ვიდრე გაიგებ, უკვე გაუგებრობასა და არეულ-დარეულობას გამოიწვევენ.
ჩვენ მათ მოძრაობას ანტონიის ციტადელიდან ვადევნებთ თვალ-ყურს და ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან აცილება იქნება დროულად შესაძლებელი.
კარგით კაპიტანო. თვალი ადევნე იორდანეს სიტუაციას და საქმის ყურში ჩამაყენე...
მე თვითონ მივდივარ იქ.
ვიცი, რომ ებრაული ხელისუფლება თვითონ არის დაინტერესებული ამ იოანე ბაპტისტით;
მათ სურთ, რომ გამოძიება აწარმოონ ამ პიროვნების შესახებ ...

შემდეგი დღე, იორდანეს მდინარეზე.




**მათე 3:1-17** იმ დღეებში მოვიდა იოანე ნათლისმცემელი და ქადაგებდა იუდეას უდაბნოში. ამბობდა: "მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი. ვინაიდან ეს არის ის,ვისზეც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა: 'ხმა მღაღადებლისა უდაბნოში: განუმზადეთ გზა უფალს, მოასწორეთ მისი ბილიკები."

თვითონ იოანეს ემოსა აქლემის ბეწვის სამოსელი და წელზე ერტყა ტყავის სარტყელი. ხოლო საზრდოდ ჰქონდა კალიები და ველური თაფლი. მაშინ მასთან გამოდიოდა იერუსალიმი, მთელი იუდეა და მთელი იორდანეს სანახები. ინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს. როცა იოანემ

ამასობაში...

მე წყლით გნათლავთ.

და მე აღგამაღლებთ თქვენ, რაც ნიშნავს განახლებასა და განწმენდას.

ნუთუ წინასწარმეტყველის განცხადება არ ახდენს თქვენზე გავლენას?
ჩვენ შეცვლა არ გვჭირდება.

ჩვენ აქ იმისათვის ვართ რომ გამოძიების შედეგები ვაცნობოთ იერუსალიმში ებრაულ ხელისუფლებას, მაღალ მღვდელმთავარს და ფარისევლებს.

შენ ის კაცი ხარ, რომელსაც ველით: იოანე ნათლისმცემელი? საკუთარ თავს ქრისტეს უწოდებ?
არა, ქრისტე არა ვარ. მე მისი თასმის შეხსნის ღირსიც კი არა ვარ.

მაშინ ვინ ხარ, სადაური ხარ? ვისი სახელით ლაპარაკობ?

მე ვარ ხმა მღაღადებლისა უდაბნოში: "მოასწორეთ უფლისათვის ბილიკები."

დაინახა მისკენ მოსანათლად მომავალი მრავალი ფარისეველი და სადუკეველი, უთხრა მათ: "იქედნეთა ნაშობნო, ვინ შთაგაგონათ მომავალ რისხვას გაქცეოდით? მაშ შექმენით მონანიების ღირსი ნაყოფი; და ნუ იფიქრებთ თქვათ თქვენთვის: ჩვენ მამად აბრაამი გვყავსო. ვინაიდან, გეუბნებით თქვენ, ღმერთს შეუძლია ამ ქვებიდან აღუდგინოს აბრაამს შვილები. ცულიც უკვე დევს ხეთა ფესვთან. ყოველ ხეს, რომელიც კარგ ნაყოფს არ გამოიღებს მოჭრიან და ცეცხლში ჩააგდებენ. მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად. მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სული წმინდითა და ცეცხლით. მისი ნიჩაბი მის ხელთაა.

ის გაწმენდს თავის კალოს, ბეღელში მოაგროვებს თავის ხორბალს, ხოლო ბზეს დაწვავს ჩაუქრობელი ცეცხლით."

მაშინ გალილეიდან იორდანეზე მოვიდა იესო იოანესთან, რათა მის მიერ მონათლულიყო. ხოლო იოანე აკავებდა და ეუბნებოდა: “მე უნდა მოვინათლო შენგან, შენ კი ჩემთან მოდიხარ?” მიუგო იესომ და უთხრა მას: “ასე იყოს, ვინაიდან ასე გვმართებს ჩვენ მთელი სამართლის აღსრულება.” მაშინ მიუშვა იგი. ნათელღებული იესო მყისვე ამოვიდა წყლიდან

და აჰა, გაიხსნენ ცანი და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. აჰა, ხმა იყო ციდან, რომელიც ამბობდა: “ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე.”

იესო ოცდაათი წლის მოინათლა მდინარე იორდანეში. ვინ იყო ის? იოსების, ხუროს შვილი ნაზარეთიდან. დედამისის სახელი მარიამი. იოანე ნათლისმცემლის ნათესავი. მის მშობლებს შეუძლიათ გვითხრან შესანიშნავი ამბები მისი ზეციური შობის შესახებ.

ერთ შაბათს, მარიამის მშობლები სინაგოგიდან დაბრუნდნენ.

**ლუკა 1:26-38** მეექვსე თვეს კი წარმოიგზავნა ღვთისაგან გაბრიელ ანგელოზი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი, ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, სახელად იოსებზე, დავითის სახლიდან, და ქალწულის სახელი იყო მარიამი. და შევიდა მასთან და უთხრა: "გიხაროდეს, მიმადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ შენ დედათა შორის." ის შეშფოთდა ამ სიტყვებზე და ჩაფიქრდა: რას უნდა ნიშნავდესო ეს მისალმება?

და უთხრა მას ანგელოზმა: "ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან. აჰა, დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარქმევ. დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. და მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს. და საუკუნოდ იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული."

უთხრა მარიამმა ანგელოზს: "როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?"

მიუგო ანგელოზმა და უთხრა: "სული წმინდა გადმოვა შენზე და მაღლის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმინდა შობილი იწოდება ღვთის ძედ.

მალე მარიამი იუდეის გზას გაუდგა.



როცა მარიამი
მივიდა...

ბიძაშვილო ელისაბედ,
სიხარული და მშვიდობა
ღვთისაგან!

მარიამი,
ნაზარეთიდან,
რა სიურპრიზია!

აჰა, შენს ნათესავ ელისაბედსაც სიბერეში ჩაესახა ძე და მეექვსე თვეშია უკვე. ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი.”

თქვა მარიამმა: "აჰა, უფლის მხევალი ვარ. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ." და განეშორა მას ანგელოზი.

**ლუკა 1:39-64** ადგა მარიამი იმ დღეებში და საჩქაროდ წავიდა მთიან მხარეში, იუდეის ქალაქში. და შევიდა ზაქარიას სახლში და მიესალმა ელისაბედს. როცა ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა, ყრმა შეუტოკდა მუცელში. და აღივსო ელისაბედი სულიწმინდით. და დაიძახა ხმამაღლა და თქვა: "კურთხეული ხარ დედათა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი! ვინა ვარ მე, რომ ჩემი უფლის დედა მოვიდა

ანგელოზმა გაბრიელმა უთხრა მას, რომ შვილი გვეყოლებოდა და იოანე უნდა დაგვერქმია...

...მისი დავალება იქნებოდა მესიისათვის გზის მომზადება.

ჩემი ლოცვა აღამაღლე შენს წინაშე. ო, ღმერთო ჩემო!
რა ხდება? ღმერთი აგზავნის ჩემთან ანგელოზს რაღაცის სათქმელად...

მაგრამ, ზაქარია დაეჭვდა! “მე ისეთი მოხუცი ვარ... შეუძლებელი იქნება!”

მაშინ, ღვთის ანგელოზმა ნიშანი მისცა: და იმ წუთიდან ზაქარია დამუნჯდა.

მარიამი სამი თვე დარჩა ელისაბედთან და შემდეგ კი სახლში დაბრუნდა, ნაზარეთში. მოვიდა ელისაბედის მშობიარობის ჟამი და შვა ვაჟი. მერვე დღეს მის წინადასაცვეთად მოვიდნენ, ამ დროს ბავშვს სახელს არქმევენ.

ჩემთან? ვინაიდან, როცა შენი მისალმების ხმა მოსწვდა ჩემს ყურს, სიხარულით შეტოკდა ყრმა ჩემს მუცელში. ნეტარია, ვინც ირწმუნა, ვინაიდან აღსრულდება უფლის თქმული მის მიმართ."

და თქვა მარიამმა: "ადიდებს სული ჩემი უფალსა, და იზეიმა სულმა ჩემმა ღმერთში, ჩემს მაცხოვარში. ვინაიდან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს და ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა. ვინაიდან დიდი საქმე მიყო ძლიერმა და წმიდაა სახელი მისი. და მისი წყალობა მის მოშიშებს თაობიდან თაობამდე. ქმნა სიმტკიცე თავისი მკლავით; გაფანტა ამპარტავანნი მათ

გულისზრახვებთან ერთად; ტახტებიდან გადმოყარა ძლიერნი და აამაღლა თავმდაბალნი; მშიერნი სიკეთით აღავსო და მდიდარნი ხელცარიელი გაუშვა; შეეწია თვის მსახურს, ისრაელს, გაიხსენა წყალობა, როგორც ეუბნებოდა ჩვენს მამებს-აბრაამს და მის მოდგმას საუკუნოდ."

დარჩა მარიამი მასთან სამიოდე თვეს და დაბრუნდა თავის სახლში. ელისაბედს კი დაუდგა მშობიარობის ჟამი და შვა ვაჟი.

და ესმათ მის მეზობლებსა და ნათესავებს, რომ გნადიდა უფალმა თავისი წყალობა მის მიმართ და მასთან ერთად ხარობდნენ. მერვე დღეს მივიდნენ ბავშვის წინადასაცვეთად და უნდოდათ დაერქმიათ მამამისის

მარიამის ნაზარეთში დაბრუნებიდან
რამოდენიმე თვის შემდეგ...

სახელი — ზაქარია. მიუგო დედამისმა და თქვა: "არა, იოანე ერქმევა მას."

უთხრეს მას, რომ შენს ნათესაობაში არავინ არის, რომ ეგ სახელი ერქვას. ნიშნებით ჰკითხეს მამამისს, რისი დარქმევა სურდა. და ფიცარი მოითხოვა და დაწერა: "იოანეა მისი სახელი." და ყველას გაუკვირდა ეს.

უცებ გაეხსნა მას პირი და ენა, ალაპარაკდა და ადიდა ღმერთი.

**მათე 1:18-21** ხოლო იესოს შობა ასე მოხდა: დედამისი, იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, სულიწმიდისაგან დაორსულებული აღმოჩნდა; ხოლო იოსები, მისი ქმარი, მართალი იყო, და არ ისურვა მისი მხილება, უნდოდა ფარულად გაეშვა იგი.

როცა ამას ფიქრობდა, აჰა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: "იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის, მიღება, ვინაიდან მასში ჩასახული

ერთ
დილას,
გაღვიძების
შემდეგ...

ამ ამბიდან მოკლე ხანში, მარიამისა
და იოსების ქორწილი იზეიმეს.

სულიწმინდისაგან არის. შობს ძეს და დაარქმევ მას სახელად
იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან.”

**ლუკა 2:1-20** იმ დღეებში გამოვიდა კეისარ ავგუსტუსის
ბრძანება: აღეწერათ მთელი მსოფლიო. ეს აღწერა პირველი იყო
სირიაში კვირენიოსის მმართველობისას. ყველანი მიდიოდნენ
ჩასაწერად, თითოეული თავის ქალაქში.

იოსებიც წავიდა გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, ვინაიდან იგი დავითის სახლისა და ტომისა იყო. რათა ჩაწერილიყო მარიამთან ერთად, რომელიც მასზე იყო დანიშნული და ორსულად იყო. მათი იქ ყოფნისას შეუსრულდა მარიამს მშობიარობის დღეები




და შვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში, ვინაიდან სასტუმროში არ იყო ადგილი მათთვის.

იმ მხარეში მწყემსები იყვნენ მინდვრად და ღამით დარაჯობდნენ თავიანთ სამწყსოს. და აჰა, უფლის ანგელოზი დაადგა მათ, უფლის დიდება გამოუბრწყინდათ და შეშინდნენ დიდი შიშით.

და უთხრა მათ ანგელოზმა: "ნუ გეშინიათ. აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს

მერვე დღეს ბავშვი წინადაცვითეს. წინადაცვეთას უკეთებდნენ ყველა ებრაელ-მამრობითი სქესის ბავშვს, როგორც ნიშანი და ბეჭედი აბრაამთან ღმერთის აღთქმისა.

მომდევნო დღეს ახალი ამბავი სწრაფად გავრცელდა.

დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი. და ნიშნად ეს გექნებათ: იპოვით მას შეხვეულსა და ბაგაში მწოლარეს.”

და უეცრად გაჩნდა ნგელოზთან ერთად დიდძალი ციური ლაშქარი და აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: “დიდება მაღალთა შინა ღერთსა, მშვიდობა ქვეყნად და კაცთა შორის სათნოება!” როცა ანგელოზები ზეცად ამაღლდნენ, მწყემსებმა უთხრეს ერთმანეთს: “წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ მომხდარი ამბავი. უფალმა რომ გვაუწყა.” გაჩქარებულნი მივიდნენ და ნახეს მარიამი და იოსები, და ბაგაში მწოლარე ყრმა.

როცა დაინახეს, მოუთხრეს ამბავი, რაც ემცნოთ მათ ამ ყრმაზე. ვინც კი ისმენდა, ყველას უკვირდა, რასაც მწყემსები ეუბნებოდნენ მათ. მარიამმა კი ჩაიმარხა ყოველი სიტყვა და ჩაიდო ისინი გულში. და დაბრუნდნენ მწყემსები და ადიდებდნენ და აქებდნენ ღმერთს ყოველივე იმის გამო, რაც ესმათ და იხილეს, როგორც ემცნოთ მათ.

**ლუკა 2:22-38** და როცა გასრულდა მათი განწმენდის დღეები მოსეს რჯულისამებრ, აიყვანეს იგი იერუსალიმს უფლის წინაშე წარსადგენად. როგორც უფლის რჯულში წერია: "ყოველ მამროვანს, რომელმაც განაპოს საშო, უფლის წმიდა ეწოდოს, და შესწირონ მსხვერპლად, როგორც უფლის რჯულშია ნათქვამი, ორი გვრიტი ან ორი მართვე მტრედისა".

და აჰა, იყო იესრუსალიმში კაცი, სახელად სიმონი, კაცი მართალი და ღვთისმოშიში, რომელიც მოელოდა ისრაელის ნუგეშისცემას, და სულიწმინდა იყო მასზე. სულიწმინდისაგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხებულის ხილვამდე.

შევიდა სულით ტაძარში და , როცა მშობლებმა მიიყვანეს ყრმა იესო, რათა მოქცეოდნენ მას რჯულის წესისამებრ, მან მიირქვა ყრმა მკლავებზე, ადიდა ღმერთი და თქვა: "ახლა კი გამიშვი, ბატონო, შენი მონა მშვიდობით, როგორც ნათქვამი გაქვს. ვინაიდან იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა, რომელიც

შენ განამზადე ყოველი ხალხის წინაშე, წარმართთათვის ნათლის გამოსაცხადებლად და შენი ხალხის, ისრაელის, დიდებად."

იოსებს და მის დედას უკვირდათ მასზე ნათქვამი. და აკურთხა სიმონმა ისინი და უთხრა მარიამს, მის დედას: "აჰა, განწესებულია ეს მრავალთა დამხობად და აღდგენად ისრაელში და საცილობელ ნიშნად. და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი, რათა გაცხადდეს მრავალ გულთაგან ზრახვები."

და იყო ანა წინასწარმეტყველი, ფენუელის ასული, აშერის ტომიდან, ღრმად მოხუცებული, თავისი ქალწულობის შემდეგ, შვიდ წელიწადს ნაცხოვრები ქმართან. იყო იგი ოთხმოცდაოთხი

იესოს მშობლებსაც დაამახსოვრდათ ეს შემთხვევა ასტრონომებთან ერთად. ამ შეხვედრამ აჩვენა, როგორ შეეგებნენ იესოს უცხოელები, მაგრამ უარყოფილ იქნა საკუთარი ხალხის მიერ. ვარსკვლავთმრიცხველნი (ბრძენი კაცები) მოვიდნენ იერუსალიმში აღმოსავლეთიდან, იესოს შობის დროს ...

წლის ქვრივი, არ შორდებოდა ტაძარს, მარხვითა და ვედრებით ემსახურებოდა დღე და ღამ. ისიც იმავე უამს იყო მისული და ადიდებდა ღმერთს და ელაპარაკებოდა მასზე ყველას, ვინც კი გამოსყიდვას მოელოდა იერუსალიმში.

**მათე 2:1-12** როცა იესო იშვა იუდეის ბეთლემში, მეფე ჰეროდეს დღეებში, იერუსალიმში მოვიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან და თქვეს: "სად არის იუდეველთა მეფე, რომელიც იშვა? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას."

ისინი იერუსალიმიდან ბეთლემში წავიდნენ...

და იპოვეს ბავშვი.

შემდეგ დილით, როდესაც გაიღვიძეს...

ეს რომ გაიგონა, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მასთან ერთად მთელი იერუსალიმი. შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ერის მწიგნობარნი და ჰკითხა მათ, სად უნდა შობილიყო ქრისტე. 5. მათ კი უთხრეს მას: "იუდეის ბეთლემში. ვინაიდან ასეა დაწერილი წინასწარმეტყველის მიერ: 'და შენ, ბეთლემო, იუდას მიწავ, არაფრით ხარ უმცირესი იუდას მთავრებს შორის: ვინაიდან შენგან გამოვა წინამძღოლი, რომელიც დამწყემსავს ჩემს ხალხს, ისრაელს.'" მაშინ ჰეროდემ მალულად დაიბარა მოგვები და გამოიკითხა ვარსკვლავის გამოჩენის ჟამი. წარგზავნა ისინი ბეთლემს, და უთხრა: "წადით, გულმოდგინედ გამოიკითხეთ იმ

გადასახლებაში ყოფნიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ, მარიამი და იოსები დაბრუნდნენ გალილეის ნაზარეთში.

სადაც იესო გაიზარდა და სიბრძნე შეიძინა, მშობლების მორჩილებასთან ერთად.

ოცდაათი წლის ასაკში წავიდა იოანე ნათლისმცემელთან და მის მიერ მოინათლა.

ყრმის ამბავი და, როცა იპოვით, შემატყობინეთ, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე მას.” მათაც მოუსმინეს მეფეს და წავიდნენ. და აჰა, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დადგებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო. ვარსკვლავი რომ დაინახეს, მათ მეტისმეტი სიხარულით გაიხარეს. როცა სახლში შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას. გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. და რაკი სიზმარში იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან, სხვა გზით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

**იოანე1:29-42** მეორე დღეს იხილა მან მისკენ მომავალი იესო და თქვა: “აჰა, ღვთის კრავი, რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა. ეს არის, ვისზეც ვთქვი: ჩემს შემდეგ მოდის კაცი, რომელიც ჩემზე უპირატესია, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო-მეთქი. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ იმიტომ მოვედი წყლით სანათლავად, რომ ის გამოეცხადოს ისრაელს.” მოწმობდა იოანე და ამბობდა:

ერთ დღეს, იოანე ნათლისმცემელი ხედავს მიმავალ იესოს...
მე გეუბნებით თქვენ, ჩემო მოწაფეებო, ხედავთ იმ კაცს?
ის არის ღვთის კრავი, რომელზეც წერია: "როგორც დასაკლავი კრავი, ისე აიღებს ქვეყნიერების ცოდვებს თავის მხრებზე."
ეს ნიშნავს, რომ ის არის მესია, ქრისტე!
დიახ, მე დავინახე მასზე გარდმომავალი ღვთის სული... სწორედ ამიტომ ვამოწმებ, რომ ის არის ღვთის ძე!
წამოდი ანდრეა, ჩვენ მას გავყვებით!
რას ეძებთ?
სად ცხოვრობ? შენთან ლაპარაკი გვსურს...
მოდით და ნახეთ.
მათ საკმაო ხანი დაჰყვეს მასთან...
გულის შემძვრელი საუბარი იყო.
ეხლავე უნდა უთხრა ჩემს ძმას, სიმონს!
სიმონ! სიმონ! მესია ვნახეთ! ქრისტე! იჩქარე, მე წაგიყვან მასთან!
რა? მესია? ქრისტე? შეუძლებელია!
შენა ხარ სიმონი, მეთევზე. შენ გეწოდება პეტრე. გამომყევი!
ფილიპე წავიდა, რათა მეგობრისათვის ეთქვა.
იესო, ეს არის ფილიპე, ის ჩვენი მეგობარია... ისიც ბეთსაიდიდან არის...
ფილიპე, გამომყევი მე და გახდი ჩემი მოწაფე.

“მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდმომავალი სული, რომელმაც დაივანა მასზე. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც მომავლინა წყლით სანათლავად, მან მითხრა: ‘ვისზეც დაინახო სული, გარდმომავალი და დავანებული, ის არის სულიწმინდით ნათლისმცემელი.’ მე დავინახე და დავამოწმე, რომ ეს არის ძე ღვთისა.” მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე და მისი ორი მოწაფეთაგანი. დაინახა მომავალი იესო და თქვა: “აჰა, ღვთის კრავი.” ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყვა იესოს.

იესო მობრუნდა და დაინახა, რომ მიჰყვებიან, და ეუბნება მათ: “რას ეძებთ?” მათ უთხრეს: “რაბი (რაც თარგმანით ნიშნავს: მოძღვარო), სად დგახარ?” ეუბნება მათ: "წამოდით და ნახავთ." წავიდნენ და ნახეს, სადაც იდგა. ის დღე მასთან დაჰყვეს. იქნებოდა ასე მეათე საათი.

ერთი ამ ორთაგანი, რომელთაც იოანესაგან მოისმინეს და გაჰყვნენ იესოს, იყო ანდრია, ძმა სიმონ-პეტრესი. მან პირველად თავისი ძმა სიმონი ნახა და უთხრა: “ჩვენ ვიპოვეთ მესია” (რაც თარგმანით ნიშნავს ქრისტეს). მიიყვანა იგი იესოსთან. შეხედა იესომ და უთხრა: “შენ

ხარ სიმონი, იოანეს ძე. ამიერიდან შენ გერქმევა კეფა" (რაც თარგმანით ნიშნავს კლდეს, პეტრეს).

**იოანე 2:1-11** დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო დასაწყისში ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და უომისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი.

იყო კაცი მოვლინებული ღვთისაგან; სახელი მისი იოანე. იგი მოვიდა დასამოწმებლად, რათა დაემოწმებინა ნათლის შესახებ, რათა ყველას ერწმუნა მისი მეშვეობით. იგი არ იყო ნათელი, არამედ რათა დაემოწმებინა ნათლის შესახებ. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უნათებს სოფლად

მომსვლელ ყოველ ადამიანს. იყო სოფელში და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმა ვერ იცნო იგი. თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი.

**ლუკა 4:38-40** მე თქვენ მიგავლენთ იმის მოსამკელად, რაზეც არ გიშრომიათ. სხვებმა იშრომეს, თქვენ კი მათ ნამუშაკევში შეხვედით." ბევრმა იმ ქალაქში მცხოვრებმა სამარიელმა ირწმუნა იგი იმ ქალის სიტყვით, რომელიც ამოწმებდა: ყველაფერი მითხრა, რაც ჩამიდენიაო. ამიტომ, როცა მოვიდნენ მასთან სამარიელები სთხოვეს, მათთან დარჩენილიყო, და იგი ორ დღეს დარჩა იქ.

**ლუკა 5:1-11** ერთხელ, როცა ხალხის ბრბო აწყდებოდა მას, რომ ღვთის სიტყვა მოესმინათ, და ის იდგა გენესარეთის ტბასთან, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი. ნავებიდან გადმოსული მებადურები ბადეებს რეცხავდნენ. ავიდა

ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს. როცა ლაპარაკი დაამთავრა, უთხრა სიმონს: "შეცურდი ღრმად და მისროლეთ ბადეები თევზის დასაჭერად." მიუგო სიმონმა და უთხრა: "მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენი სიტყვით ვისვრი ბადეს."

ასეც მოიქცნენ. იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს ამხანაგებს მეორე ნავში, რომ მოსულიყვნენ მოსაშველებლად. მოვიდნენ და ისე აავსეს ორივე ნავი, რომ ლამის იძირებოდნენ.

ეს რომ დაინახა სიმონ-პეტრემ, დაეცა იესოს მუხლებთან და უთხრა: "გამშორდი უფალო, ვინაიდან ცოდვილი კაცი ვარ."

რადგან შიშმა შეიპყრო იგი და ყველა მასთან მყოფი იმ თევზისჭერის გამო, მათ რომ დაიჭირეს. ასევე იაკობი და იოანე, ზებედეს ძენი, სიმონის მოზიარენი. და

უთხრა სიმონს იესომ: "ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანთა დამჭერი იქნები."
მიაყენეს ნავები მიწას, ყველაფერი მაიტოვეს და გაჰყვნენ მას.

იესო მოგზაურობდა მთელს გალილეაში, ქადაგებდა სახარებას და კურნავდა ავადმყოფებს, მთელი ხალხი მას მისდევდა ...
ჩემი დრო დადგა! ცათა სასუფეველი მოახლოვებულია! თქვენს კარებთან აკაკუნებს! შეიცვალეთ ცხოვრება, შემობრუნდით ღმერთისაკენ და ემსახურეთ მას!
ვისურვებდი, რომ მართალი იყოს. მობეზრებული გვაქვს თავი მეფეებისა და მმართველებისაგან, რევოლუციებისა და მთავრობის ცვლილებებისაგან!
ყველაფერი რაც საუკუნეების მანძილზე ადამიანისაგან მოდიოდა იმედგამაცრუებელი იყო. ახლა, ნამდვილად გვჭირდება ღვთის წყალობა.
ყველა წინასწარმეტყველი წერდა მესიის მოსვლის შესახებ და როგორი ნიშნებით უნდა შეგვეცნო იგი! ბრმა დაინახავდა და კოჭლი გაივლიდა!
მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო დ მე მოგასვენებთ თქვენ! ისწავლეთ ჩემგან. მე მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ.
მე კვლავ შემიძლია ვიარო! დიდება ღმერთს!
კეთროვანის ზარის ხმა შემომესმა! მოდი მოვშორდეთ ამ ადგილს.
იესო შეეხო ჩემს თვალებს და ეხლა ვხედავ!
**მათე 4:23-25** და მიმოდიოდა იესო მთელ გალილეაში, ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სასუფევლის სახარებას და კურნავდა ყოველგვარ სენს, ყოველნაირ უძლურებას ადამიანებში. მოედო მისი ამბავი მთელს სირიას. და მოჰყავდათ მასთან ყველა უძლური, სხვადასხვა სნეულებით და სატანჯველით შეპყრობილი, ეშმაკეულნი, მთვარეულნი, დავრდომილნი და ის კურნავდა მათ. დიდძალი ხალხი მისდევდა მას გალილეიდან და დეკაპოლისიდან, იერუსალიმიდან და იუდეადან და იორდანეს გაღმიდან.
განუკურნებელ, სენით დაავადებულ ხალხს საზოგადოებისაგან განცალკევებით უნდა ეცხოვრათ. ისინი იესოს ქალაქის კარიბჭესთან ელოდებიან.

**ლუკა 5:12-14** ერთხელ, ერთ-ერთ ქალაქში მისი ყოფნისას, აჰა, მოვიდა კეთრით დაფარული კაცი. დაინახა იესო და დაემხო, ევედრებოდა და ეუბნებოდა: "უფალო, თუ გსურს, შეგიძლია ჩემი განწმენდა."

და გაიწოდა ხელი, შეახო მას და თქვა: "მსურს, განიწმინდე!" და მყისვე მოშორდა კეთრი. და უბრძანა მას: "არავის უთხრა, არამედ წადი და ეჩვენე მღვდელს და შესწირე შენი განწმენდისათვის, როგორც დაუდგინა მათ მოსემ მოწმობად."

**მათე 9:9-13** იქაურობას რომ გაშორდა, იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას: "გამომყევი." ისიც წამოდგა და გაჰყვა მას. მოხდა ისე რომ, როცა ის სუფრასთან იჯდა სახლში, მრავალი მებაჟე და ცოდვილი მოვიდა და ჩამოჯდა იესოსა და მისი მოწაფეების გვერდით. ეს რომ ფარისევლებმა დაინახეს, უთხრეს მის მოწაფეებს: "რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?"

ხოლო მან გაიგონა ეს და უთხრა მათ; "მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ. წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს: 'წყალობა მსურს და არა მსხვერპლი;' მართალთა კი არა ცოდვილთა მოსახმობად მოვედი."

**მარკოზი 2:1-12** რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მივიდა კაპერნაუმში და ხმა დაირხა, რომ სახლშიაო იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ კარში ტევა არ იყო. და ეუბნებოდა მათ სიტყვას. მივიდნენ და მიუყვანეს დავრდომილი, რომელიც ოთხს მოჰყავდა.

და რადგან მასთან მიყვანა შეუძლებელი იყო ხალხის გამო, იმ სახლს გადახადეს სახურავი, სადაც იგი იმყოფებოდა, ჩათხარეს



ხვრელი და ჩაუშვეს საწოლი, რომელზედაც დავრდომილი იწვა. იხილა იესომ მათი რწმენა და უთხრა დავრდომილს: “შვილო, მოგეტეა შენი ცოდვები!”

იქ ზოგიერთი მწოგნობარი იჯდა და თავის გულში ფიქრობდა: “რატომ ლაპარაკობს ასე? ღმერთსა გმობს. ვის ძალუძს ცოდვების მიტევება ერთი ღვთის გარდა?”

იესო თავისი სულით მაშინვე მიხვდა, რასაც გულში ფიქრობდნენ ისინი, და უთხრა: "ასეთი რამ გულში რად გაივლეთ?

რა უფრო ადვილია–თქმა დავრდომილისთვის: 'შენი ცოდვები მოგეტევა', თუ თქმა: 'ადექი, აიღე შენი საწოლი და გაიარე'? ხოლო, რათა იცოდეთ, რომ კაცის ძეს აქვს ქვეყანაზე ცოდვების მიტევების ხელმწიფება, უთხრა დავრდომილს; შენ გეუბნები, 'ადექი, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში!'"

ადგა, მყისვე აიღო თვისი საწოლი და გამოვიდა ყველას თვალწინ. ყველა განცვიფრდა და ადიდებდა ღმერთს, ამბობდნენ: "არასოდეს გვინახავს მსგავსი რამ."

**ლუკა 7:36-50** ვინმე ფარისეველთაგანი სთხოვდა მას, მასთან ეჭამა პური. შევიდა იმ ფარისეველის სახლში და მიუჯდა სუფრას. იმ ქალაქში იყო ცოდვილი დედაკაცი. როგორც კი გაიგო, იგი ფარისეველის საახლში ზისო, მოიტანა ნელსაცხებელი ალებასტრონის ჭურჭლით. და დადგა უკან, მის ფერხთით, ცრემლებით უსველებდა ფეხებს და თავისი თმებით უხოცავდა,

ფეხებს უკოცნიდა და ნელსაცხებელს სცხებდა. ფარისეველმა, რომელმაც იესო მიიწვია, ამის დანახვაზე თავისთვის თქვა: "ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, შეიტყობდა ვინ და რანაირი დედაკაცი ეხება მას, რადგან ცოდვილია იგი." მიუგო იესომ და უთხრა მას: "სიმონ, რაღაც მაქვს შენთან სათქმელი," მან კი უთხრა: "თქვი მოძღვარო."




ამ დღის შემდეგ მარიამ მაგდალასი, მაგდალელად წოდებული, იესოს დაყვებოდა სხვა ქალებთან ერთად.



თქვა: "ერთ მევახშეს ორი მოვალე ჰყავდა: ერთს ხუთასი დინარი ემართა, მეორეს-ორმოცდაათი. მაგრამ რაკი არაფერი ჰქონდათ, რომ გადაეხადათ, ორივეს მიუტევა. ახლა მითხარი, რომელს უფრო მეტად შეუყვარდებოდა იგი?"

მიგო სიმონმა და თქვა: "მე ვფიქრობ, რომელსაც უფრო მეტი მიუტევა." ხოლო მან უთხრა მას: "სწორად განსაჯე."

მიბრუნდა დედაკაცისაკენ და სიმონს უთხრა: "ხომ ხედავ ამ დედაკაცს? შენს სახლში შემოვედი და წყალი არ მომეცი ფერხთათვის, ამან კი ცრემლით დამისველა ფერხნი და თავისი თმებით შემიხოცა. შენ არ გიკოცნია ჩემთვის, ამას კი, რაც აქ შემოვიდა, არ შეუწყვეტია ჩემს ფერხთა კოცნა. შენ ზეთი არ გიცხია ჩემს თავზე, ამან კი ნელსაცხებელი სცხო ჩემს ფერხთ. ამის გამო გეუბნები: მაგას მიეტევა თვისი მრავალი ცოდვა, რადგან ძლიერ შემიყვარა. ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტათი უყვარს."

და უთხრა მას: "მოგეტევა შენი ცოდვანი." მასთან მსხდომებმა იწყეს ლაპარაკი თავისთვის; "ვინ არის ეს, ცოდვებსაც რომ მიუტევებს?" მან კი უთხრა დედაკაცს: "შენმა რწმენამ გიხსნა შენ. წადი მშვიდობით."

**ლუკა 7:11-17** ამის შემდეგ იესო წავიდა ქალაქში, რომელსაც ერქვა ნაინი, და თან მიყვებოდნენ მისი მოწაფენი და დიდძალი ხალხი. ქალაქის კარიბჭეს რომ მიუახლოვდა, აჰა, მოასვენებდნენ მიცვალებულს, დედისერთა ვაჟს, ხოლო დედა ქვრივი იყო. დიდძალი ხალხი მოსდევდა მას ქალაქიდან. ქვრივის დანახვისას უფალს შეეცოდა იგი და უთხრა: "ნუ სტირი." მივიდა და შეეხო ცხედარს. გამსვენებლები შედგნენ და მან თქვა: "ჭაბუკო, შენ გეუბნები, ადექ!"

მკვდარი წამოდგა და იწყო ლაპარაკი, და იესომ ჩააბარა იგი თავის დედას. ყველანი შიშმა შეიპყრო, ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: "დიდი წინასწარმეტყველი აღმდგარა ჩვენს შორის და ღმერთმა მოხედა თავის ხალხს." ეს სიტყვა მოედო მთელს იუდეასა და მთელს შემოგარენს.

**იოანე 6:1-15** ამის შემდეგ გავიდა იესო გალილეის ანუ ტიბერიის ზღვის გაღმა. უამრავი ხალხი მიჰყვებოდა, რადგან იხილეს სასწაულები, რომლებსაც ის ახდენდა სნეულებზე. ავიდა მთაზე იესო და დაჯდა იქ თავის მოწაფეებთან ერთად. ახლოვდებოდა პასექი, იუდეველთა დღესასწაული. იესომ გაიხედა და დაინახა, რომ უამრავი ხალხი მოდიოდა მისკენ და ეუბნება ფილიპეს: "სად ვიყიდოთ პური, ამათ რომ ვაჭამოთ?" ამას გამოსაცდელად ეუბნებოდა, თორემ თვად კი იცოდა, რასაც მოიმოქმედებდა.

მიუგო მას ფილიპემ; "ორასი დინარის პურიც არ ეყოფათ, რომ თითოეულ მათგანს ცოტაოდენი მაინც ერგოს." ეუბნება მას ერთი მისი მოწაფეთაგანი, ანდრია, სიმონ-პეტრეს ძმა: "აქ არის ერთი ბიჭი, რომელსაც ხუთი ქერის პური და ორი თევზი აქვს, მაგრამ ამდენ ხალხს ეს რას ეყოფა?" თქვა იესომ: "უთხარით




ცოტა ხნის შემდეგ, იესო ჩრდილოეთ კესარიისაკენ წაუძღვება თავის მოწაფეებს (თანამედროვე კოლან ჰეითსი) ხერმონის მთასთან ახლოს.

ხალხს, დასხდნენ." ხოლო იმ ადგილზე ხშირი ბალახი იყო. რიცხვით ხუთი ათასამდე კაცი დაჯდა. აიღო პურები იესომ, მადლი შესწირა და ჩამოურიგა მოწაფეებს, მოწაფეებმა კი იქ მსხდომთ, ასევე თევზიც, ვისაც რამდენი უნდოდა. როცა დანაყრდნენ, უთხრა თავის მოწაფეებს: "მოაგროვეთ ნამუსრევი, რომ არაფერი არ

დაიკარგოს." მოაგროვეს და აავსეს თორმეტი გოდორი იმ ხუთი პურის ნამუსრევით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა. მაშინ იესოს მიერ მოხდენილი სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: "ესაა ჭეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც სოფელში უნდა მოსულიყო."

**მათე 16:13-17** ფილიპეს კესარიის მხარეს რომ მიდიოდნენ, იესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: "რას ამბობს ხალხი, ვინ არისო კაცის ძე?" მათ უთხრეს: "ზოგი ამბობს იოანე ნათლისმცემელიაო, ზოგი-ელიაო და ზოგი-იერემია ან ერთი წინასწარმეტყველთაგანიო."

უთხრა მათ; "თქვენ კი რას იტყვით: ვინ ვარ მე?" სიმონ-პეტრემ უთხრა მას პასუხად: "შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა." მიუგო იესომ და უთხრა მას: "ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონეს ძევ, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ცაშია."

**მათე 20:20-24** მაშინ მოვიდა მასთან ზებედეს ძეთა დედა, თვის ვაჟებთნ ერთად, თაყვანსა სცემდა და რაღაცას ითხოვდა მისგან. უთხრა მას: "რა გინდა?" უთხრა მას: "თქვი, რომ ეს ჩემი ორი ძე დასხდნენ ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ შენს სასუფეველში."

მიუგო იესომ და უთხრა: "არ იცით, რას ითხოვთ. განა შეგიძლიათ იმ სასმისის შესმა, რომელსაც მე შევსვამ?" უთხრეს მას: "შეგვიძლია." უთხრა მათ: "ჩემს სასმისს შესვამთ, მაგრამ ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ დაჯდომის ნებართვა ჩემგან არ

არის, არამედ ვისთვისაც გამზადებულია მამაჩემის მიერ.” ეს რომ იმ ათმა გაიგონა, გული მოუვიდათ ორ ძმაზე.




**მათე 16:21-23** მას შემდეგ დაიწყო იესომ გამხელა თავისი მოწაფეებისათვის, რომ უნდა წასულიყო იერუსალიმს და ტანჯულიყო მღვდელმთავრებისა და მწიგნობრებისაგან, მოკლულიყო და მესამე დღეს აღმდგარიყო. პეტრემ გაიხმო იგი და შეეპასუხა: "შეიწყალე თავი, უფალო, ნუმც ყოფილა ეგრე!"

ის კი მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: "მომცილდი, სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ღმერთისაზე კი არ ლაპარაკობ, არამედ კაცისაზე."

**მათე 4:1-11** მაშინ სულმა წაიყვანა იესო უდაბნოში ეშმაკისაგან გამოსაცდელად. ორმოც დღეს და ორმოც ღამეს იმარხულა და ბოლოს მოშივდა. მიუახლოვდა მას მაცდური და უთხრა: "თუ შენ ღვთის ძე ხარ, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ."



“მშიერი ხარ,” ჩაჩურჩულებდა ის, “მაგრამ, თუ ღვთის ძე ხარ, უთხარი ამ ქვებს რომ პურებად იქცნენ”... უარვყავი ვყოფილიყავი ის მესია, რომელიც არ დაიტანჯებოდა შიმშილისაგან... პურით კი არ ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი სიტყვით!

უარვყავი მისი ცდუნება, ვყოფილიყავი მესია, ქრისტე, რომელიც ხალხის გულს სენსაციური გამოჩენით დაიპყრობდა.

სხვა დროს ტაძრის ყველაზე მაღალ ქიმზე ვიდექი. “გადაიგდე შენი თავი აქედან,” ჩამჩურჩულა ეშმაკმა, “არაფერი შეგემთხვევა. თუ ღვთის ძე ხარ, ის დაგიცავს და ხალხი გაგაღმერთებს.”

ხოლო მან მიუგო და უთხრა: “დაწერილია, რომ ‘არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით.’” მაშინ წაიყვანა ეშმაკმა წმინდა ქალაქში და დააყენა ტაძრის ქიმზე.

უთხრა მას: “თუ ღვთის ძე ხარ, გადაიგდე თავი ძირს, ვინაიდან დაწერილია: ‘თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე და ისინი ხელში აყვანილს გატარებენ, რათა ქვას ფეხი არ წამოჰკრა.’”

შუაღამისას დამაბრმავებელმა სინათლემ გამოაღვიძა პეტრე, იაკობი და იოანე. იესო დაინახეს კაშკაშა ნათელში მოსესთან და ელიასთან ერთად.

როდესაც გამოცხადება დასრულდა, მათ იესო ისეთადვე დაინახეს როგორც აქამდე.

შუადღისით, ოთხმა კაცმა ჩააბარგა და მთიდან დაბლა ჩავიდნენ.

უთხრა მას: "ასევე დაწერილია: 'არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.'" ასევე წაიყვანა იგი ეშმაკმა ძალიან მაღალ მთაზე, უჩვენა სოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება. უთხრა მას; "ყოველივე ამას შენ მოგცემ თუ დამხობილი თაყვანს მცემ."

მაშინ იესომ უთხრა: "განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: 'უფალს შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე.'" მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა და აჰა, ანგელოზები მიეახლნენ და ემსახურნენ მას.

**მათე 17:1-9** ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე და და აიყვანა ისინი მაღალ მთაზე განმარტოებით. და ფერი იცვალა მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი გასპეტაკდა როგორც სამოსელი. და აჰა, გამოეცხადდნენ მას მოსე და ელია, მასთან მოსაუბრენი.

უთხრა პეტრემ იესოს: "უფალო, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა, თუ გნებავს, გავაკეთებ აქ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და

ერთის ელიას." ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ აჰა, ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი, და აჰა, ამბობს ხმა ღრუბლიდან: "ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე. მას უსმინეთ!"

ეს რომ ესმათ მოწაფეებს, პირქვე დაემხნენ და ძალიან შეეშინდათ. იესო მიუახლოვდა , და შეეხო მათ და უთხრა: "წამოდექით და ნუ გეშინიათ." თვალი რომ აახილეს, ვეღარავინ დაინახეს, გარდა იესოსი. და როცა მთიდან ჩამოდიოდნენ, იესომ უბრძანა მათ და უთხრა: "არავის არაფერი მოუყვეთ ამ ხილვაზე, ვიდრე ძე კაცისა მკვდრეთით არ აღდგება."

**მათე 21:1-17** როცა იერუსალიმს მიუახლოვდნენ და ბეთბაგეში მივიდნენ, ზეთისხილის მთასთან, იესომ გააგზავნა ორი მოწაფე. უთხრა მათ: "წადით სოფელში, რომელიც თქვენს წინაა, და მაშინვე იპოვით დაბმულ ვირს და მასთან ერთად ჩოჩორს.

აუშვით და მომიყვანეთ. და თუ ვინმე რამეს გეტყვით, უთხარით: უფალს სჭირდება-თქო და მაშინვე გამოგატანთ მას.”
ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს: “უთხარით სიონის ასულს: ‘აჰა, შენი მეფე შენთან მოდის, მშვიდი და მჯდარი ვირზე და ჩოჩორზე, სახედრის ნაშიერზე.’”

ვის შესძახით?
იესო ნაზარეველს, ახალ წინასწარმეტყველს!

რას ნიშნავს ეს?
ჰმ... როდესაც რომაელები ამის შესახებ შეიტყობენ, მათმა არმიამ შესაძლოა კარგადაც იმოქმედოს...

პარადმა ტაძრამდე მოაღწია... მათხოვრები, ავადმყოფები, და უძლურები მისდევდნენ მას...
მოშორდით, ჭუჭყიანო ხალხო! უწმინდურები ხართ და ნება არ გაქვთ ტაძარში შესვლის!
ნუ სწუხართ, მე საპყარი ვარ; იესო განმკურნავს!
აბა ბავშვებო, ზეიმით შეხვდით იესოს შემოსვლას.

სიცოცხლე იესო ნაზარეველს!

გაჩუმდით, ეს წმინდა ტაძარია!

გესმის ამ ბავშვების? და ნებას რთავ რომ იყვირონ?... გააჩუმე და წმინდა ტაძარს მიაგე ჯეროვანი პატივი!
პატივი მიაგე ამ წმინდა ადგილს!
ეს არ არის სირცხვილი, ხალხი ამ წმინდა ტაძარში რომ ყიდის და ყიდულობს?

მოწაფეები წავიდნენ და ისე მოიქცნენ როგორც იესომ უბრძანა: მოჰგვარეს მას ვირი და ჩოჩორი, დაუფინეს ზედ თავიანთი სამოსელები და დაჯდა მათზე. ხალხი თავის სამოსელს უფენდა გზაზე. სხვები კი ხეებიდან რტოებს ჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ.

ხოლო ხალხი, წინ რომ უძღოდა და უკან მისდევდა, შესძახოდა: "ოსანა დავითის ძეს! კურთხეულია უფლის სახელით მომავალი! ოსანა მაღალთა შინა!" როცა ის შევიდა იერუსალიმში, მთელი ქალაქი შეიძრა და ამბობდნენ: "ეს ვინ არისო?" ხალხი კი ამბობდა: "ეს იესოა, წინასწარმეტყველი გალილეის ნაზარეთიდან." შევიდა იესო ტაძრად და გამორეკა ყველა გამყიდველი და მყიდველი, ვინც ტაძარში იყო, და გადააყირავა მეკერმეთა დახლები და მტრედების გამყიდველთა მერხები.

უთხრა მათ: “დაწერილია: ‘ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება,’ თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად გიქცევიათ იგი!” მივიდნენ მასთან ტაძარში ბრმები და კოჭლები და მან განკურნა ისინი. როცა დაინახეს მწიგნობრებმა და მღვდელმთავრებმა სასწაული, რომელიც მან მოახდინა, და

რა თქმა უნდა ეს იგავი იყო. იესო თავის სხეულზე ლაპარაკობდა, ღვთის ახალ ტაძარზე!... განადგურებული და მოკლული აღსდგებოდა კვლავ მკვდრეთით მესამე დღეს.

იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ მიხვდნენ მოწაფეები რასაც გულისხმობდა.

ბავშვები, რომელნიც ტაძარში იძახდნენ და ამბობდნენ: ოსანა დავითის ძესო, გული მოუვიდათ. უთხრეს მას: "თუ გესმით, რას ამბობენ ისინი?"იესომ უთხრა მათ: "ოჰ! ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ: 'ჩვილთა და ძუძუმწოვართა ენით დაიმკვიდრე დიდება.'" და დატოვა ისინი, გავიდა ქალაქიდან ბეთანიაში და ღამე იქ გაათია.

**იოანე 11:47-50** შეკრიბეს მღვდელმთავრებმა და სინედრიონმა ხალხი და თქვეს: "რა ვქნათ, რადგან ეს კაცი ბევრ სასწაულს ახდენს? თუ მივუშვებთ თავის ნებაზე, ყველა ირწმუნებს მას. მოვლენ რომაელები და დაიპყრობენ ჩვენს ადგილსაც და ერსაც."

ერთმა მათგანმა, კაიაფამ, რომელიც მღვდელმთავრობდა იმ წელიწადს, უთხრა მათ: "თქვენ არაფერი გაგეგებათ, ვერ მოგიფიქრებიათ, რომ გვიჯობს ერთი ადამიანი მოკვდეს ხალხისათვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს."

**მათე 26:3-5, 14-16** მაშინ შეიკრიბნენ მღვდელმთავარნი და ხალხის უხუცესნი კაიაფად წოდებულ მღვდელმთავრის ეზოში. მოითათბირეს, მზაკვრულად შეეპყროთ იესო და მოეკლათ. მაგრამ ამბობდნენ: დღესასწაულზე არა, ხალხში შფოთი არ ატყდესო.

იესო და მისი მოწაფეები იმალებოდნენ, რამოდენიმე კვირა, მაღალი მღვდლის მსახურები კი მას ეძებდნენ...
მეგობრებო, დღეს უფუარობის დღეს ზეიმობენ. პეტრე და იოანე, წადით და მოამზადეთ სუფრა, რათა ჩვენც ვიზეიმოთ.
კარგი, უფალო, მაგრამ სად? ვისთან?
ერთი დიდი ოთახი დავიკავე იერუსალიმში, წადით და ნახეთ...
... როგორც კი ქალაქში შეხვალთ, შეხვდებით კაცს, წყლის დოქით მხარზე. გაყევით სადაც მივა. ის ადგილი იქნება.
აჰა, იესო აღარ მენდობა მეტად... მაგრამ როგორც საგანძურის განმკარგავს, მე მაქვს უფუარობის სუფრის მომზადების უფლება... მაშინ მეცოდინებოდა მათი შეხვედრის ადგილი!
მერე, ვაცნობებდი ხელისუფლებას და დაიჭერდნენ.
რამოდენიმე საათის შემდეგ...
ქალებს მიაქვთ წყლის დოქები, არაფერია განსაკუთრებული.
მაგრამ, იქვე ვხედავ კაცსაც დოქით, რაც არაჩვეულებრივია! ეს იქნება ის კაცი?
ის უნდა იყოს! მოდი მივყვეთ!

მაშინ ერთი იმ თორმეტთაგანი, იუდა ისკარიოტელად წოდებული, წავიდა მღვდელმთავრებთან და უთხრა: "რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?" და მიუწონეს მას ოცდაათი ვერცხლი. მას აქეთ ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ გაეცა იგი.

**ლუკა 22:7-12** დადგა უფუარობის დღე, როცა უნდა დაკლულიყო პასექი. მიავლინა პეტრე და იოანე და უთხრა: "წადით მოამზადეთ ჩემთვის პასექი, რომ ვჭამოთ."

მათ უთხრეს მას: "სად გინდა, რომ მოვამზადოთ?" მან უთხრა მათ: "აჰა, ქალაქში შესვლისას შემოგხვდებათ კაცი, რომელსაც წყალი მიაქვს კოკით. მიჰყევით მას იმ სახლამდე სადაც შევა,


მაგიდას მიუსხდნენ, მაგრამ დავა ატყდა...
დამითმე ადგილი. მე მაქვს იესოს გვერდით ჯდომის უფლება!
არასოდეს! აქ ვარ და აქ დავრჩები! განა ყველანი ერთ ჯგუფში არა ვართ?
დიახ, მართალია! არავითარი უპირატესობა! არანაირი განსაკუთრებული პრივილეგიები!
მეგობრებო, როგორი მომენტია! ვიდრე თქვენს ადგილებს დაიკავებდეთ...
თქვენ იცით, რომ მეფეები ბატონობენ წარმართებზე, ძალადობენ თავიანთ ხალხზე მახვილით, მაგრამ თქვენ არ უნდა იქცეოდეთ ასე...
... არამედ! თქვენი მოვალეობაა ემსახუროთ ერთმანეთს.
ამის შემდეგ...
შეხედე რას აკეთებს!
არ მესმის! როგორც ჩანს დასალაგებლად ემზადება.

და უთხარით სახლის პატრონს: მოძღვარი გეუბნება: სად არის სასტუმრო ოთახი, რომ ჩემს მოწაფეებთან ერთად ვჭამოო პასექი? ის გიჩვენებთ დიდ მოფარდაგებულ ზემოთვალს. იქ მოამზადეთ."

**იოანე 13:2-11, 21-30** სერობის დროს, როცა ეშმაკმა უკვე ჩაუდო გულში იუდას, სიმონ ისკარიოტელის ძეს, რომ გაეცა იგი, იესომ იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთიდან გამოვიდა და ღმერთთან მიდის, წამოდგა სერობიდან, გადაიძრო ზედა სამოსელი, აიღო ტილო და წელზე შემოირტყა. მერე ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფეხის ბანა და იმ ტილოთი შემშრალება წელზე რომ ერტყა. მივიდა სიმონ-პეტრესთან. ის კი ეუბნება: "უფალო, შენ უნდა




დამბანო ფეხი?" მიუგო იესომ და უთხრა მას: "რასაც ვაკეთებ, ახლა ვერ ხვდები, მერე კი გაიგებ."

ეუბნება მას პეტრე: "უკუნისამდე არ დამბან ფეხს." მიუგო იესომ: "თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი."

ეუბნება მას სიმონ-პეტრე: "უფალო, მარტო ფეხი კი არა, არამედ ხელიც და თავიც." ეუბნება მას იესო: "განბანილს აღარ სჭირდება დაბანა, გარდა ფეხისა, რადგან ის მთლიანად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა." რადგან იცოდა ვინ გასცემდა, ამიტომ თქვა, ყველანი არ ხართო სუფთა.

ამის თქმის შემდეგ იესო სულით აღელდა, დაამოწმა და თქვა: "ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს მე." გადახედეს მოწაფეებმა ერთმანეთს გაოგნებულებმა, ვისზე თქვაო. იესოს უბეს მიყრდნობოდა ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს. სიმონ-პეტრემ ანიშნა მას და უთხრა: ჰკითხე, ვინ არის ვისზეც თქვაო. გადაიხარა იგი იესოს მკერდისკენ და ეუბნება: "უფალო, ვინაა იგი?"

მიუგებს იესო: "ეს ისაა, ვისაც ამოვუწებ ლუკმას და მივცემ." ამოაწო ლუკმა, აიღო და მისცა იუდას, სიმონ ისკარიოტელის ძეს. ამ ლუკმის შემდეგ სატანა შევიდა მასში. ეუბნება მას იესო: "რაც გასაკეთებელი გაქვს, მალე გააკეთე."

მაგრამ მეინახეთაგან ვერავინ მიხვდა, რად უთხრა ეს. ზოგიერთმა იფიქრა, რაკი ყულაბა იუდას ჰქონდა, იესო ეუბნება სადღესასწაულოდ გვიყიდე, რაც გვჭირდებაო, ან კიდევ, რომ




რაიმე მიეცა ღარიბებისათვის. ის კი, როგორც კი ლუკმა აიღო, დაუყოვნებლივ გავიდა. და იყო ღამე.

**ლუკა 22:19-20** აიღო პური, მადლი შესწირა, დატეხა, დაურიგა მათ და უთხრა: "ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად." ასევე აიღო სასმისი სერობის

შემდეგ და თქვა: "ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში, თქვენთვის რომ იღვრება.

შემდეგ ესომ და მისმა მოწაფეებმა დაასრულეს სადილი და გამოსვლის ზეიმის სიმღერებით გაუდგნენ გზას.

**მარკოზი 14:26-72** იგალებს და გავიდნენ ზეთისხილის მთაზე. უთხრა მათ იესომ: "ყველანი ცდუნდებით, ვინაიდან დაწერილია: 'დავცემ მწყემსს და გაიფანტებიან ცხვრები.' ხოლო ჩემი აღდგომის შემდეგ წინ წაგიძღვებით გალილეაში."

პეტრემ უთხრა მას: "თუნდაც ყველანი ცდუნდნენ, მაგრამ მე არა!" უთხრა მას იესომ. "ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამაღამ, სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ."

ის კი მეტი თავგამოდებით ეუბნებოდა: თუნდაც რომ მოვკვდე შენთან ერთად, არ უარგყოფო, ასევე ამბობდნენ სხვებიც.

მივიდნენ ადგილზე, რომლის სახელია გეთსიმანია, და უთხრა თავის მოწაფეებს: "ისხედით აქ, სანამ ვილოცულობ." და წაიყვანა თავისთან პეტრე, იაკობი და იოანე. და იწყო წუხილი და ურვა.

უთხრა მათ; "სასიკვდილოდ არის დამწუხრებული ჩემი სული. იყავით აქ და იფხიზლეთ." ცოტა გაიარა, დაემხო მიწაზე და ლოცულობდა, რათა, თუ შესაძლებელი იყო, ასცდენოდა ეს ჟამი.

თქვა: "აბბა, მამაო, შენთვის ყოველივე შესაძლებელია. ამაცილე ეს სასმისი. მაგრამ, არა რაც მე მსურს, არამედ, რაც-შენ." მოვიდა და ნახა ისინი მძინარენი და უთხრა პეტრეს: "სიმონ, გძინავს? ვერ შესძელი, ერთ საათს გეფხიზლა? იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხოლო ხორცი უძლური."

კვლავ წავიდა, ლოცულობდა და იმავე სიტყვებს ამბობდა. მობრუნდა და მძინარენი ჰპოვა ისინი, ვინაიდან თვალები დამძიმებოდათ: და არ იცოდნენ, რა ეპასუხათ მათთვის. და მოვიდა მესამედ და უთხრა მათ: "თქვენ ისევ გძინავთ და ისვენებთ? კმარა. მოვიდა ჟამი. აჰა, კაცის ძე გადაეცემა

ცოდვილთა ხელთ. ადექით, წავიდეთ. აჰა, მოახლოვდა ჩემი გამცემი.”

კიდეც ლაპარაკობდა, რომ აჰა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად ხალხი მახვილებით და კეტებით-მღვდელმთავართაგან, მწიგნობართაგან და უხუცესთაგან. მის გამცემს მიეცა მათთვის ნიშანი და ეთქვა: “ვისაც მე ვეამბორები, ის არის იგი, შეიპყარით და დაცვით წაიყვანეთ.” როცა მოვიდა, მყისვე მიეჭრა მას და უთხრა: “რაბი!” და ეამბორა. მათ კი ხელი დაადეს მას და შეიპყრეს იგი. ერთმა იქ მდგომთაგანმა იძრო მახვილი, დასცხო მღვდელმთავრის მონას და ყური ჩამოათალა.

მიუგო იესომ და უთხრა მათ: “განა ავაზაკი ვარ, მახვილებითა და კეტებით რომ მოხვედით ჩემს შესაპყრობად? ყოველდღე თქვენთან ვიყავი ტაძარში და გასწავლიდით, და არ

შეგიპყრივართ. მაგრამ, დაე, აღსრულდეს წერილები.” და მიატოვეს იგი და ყველანი გაიქცნენ. ერთი ვიღაც ჭაბუკი, რომელსაც შიშველ სხეულზე ტილო მოესხა, მიჰყვებოდა მას და შეიპყრეს იგი. შეატოვა ტილო და შიშველი გაიქცა.

მიიყვანეს იესო მღვდელმთავართან. და თვი მოიყარა ყველა მღვდელმთავარმა, უხუცესმა და მწიგნობარმა. პეტრე შორიდან მიჰყვებოდა მას, თვით მღვდელმთავრის ეზომდე, დაჯდა მსახურებთან და ცეცხლს მიეფიცხა. მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ მოწმობას იესოს წინააღმდეგ,

მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ
იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ პოუ
მრავალი სწამებდა ცილს, მაგრამ ეს მოწმობანი ერთმა

არ ვენდობი ამ ახალმოსულს...
...ისიც ამ იესოსთან ერთად იყო...?...
?
ვიზე ლაპარაკობ? იესო ნაზარეველზე? არ ვიცნობ მას!
უბრალოდ გავიარე... საკმაოდ ცივი ღამეა, და გავთბები მეთქი ვიფიქრე.
მართლა? მაგრამ საეჭვოდ მოქმედებ. შენც ერთ-ერთი მისი მოწაფეთაგანი ხარ.
მისმინეთ! მე გეუბნებით...
...რომ არ ვიცნობ ამ კაცს!
ამასობაში, ოფიციალურ რეზიდენციაში...

რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ პოულობდნენ. მრავალი სწამებდა ცილს, მაგრამ ეს მოწმობანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ზოგი წამოდგნენ და ცილს სწამებდნენ, ამბობდნენ. "ჩვენ მოვუსმინეთ, რომ ლაპარაკობდა: მე დავანგრევ ამ ხელთქმნილ ტაძარს და სამ დღეში ავაშენებ სხვას, ხელთუქმნელსო." მაგრამ არც მათი მოწმობანი ემთხვეოდა ერთმანეთს. დადგა მღვდელმთავარი შუაში და ჰკითხა იესოს: "არაფერს უპასუხებ? რა არის, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?" ის დუმდა და არაფერს პასუხობდა. კვლავ ჰკითხა მღვდელმთავარმა: "შენა ხარ ქრისტე ძე კურთხეულისა?"




იესომ თქვა: “მე ვარ. თქვენ იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს, და ცის ღრუბლებში მომავალს.”

მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსელი და თქვა: “რაღად გვინდა მოწმენი? თქვენ მოისმინეთ გმობა. რას იტყვით?” მაშინ ყველამ დასდო მსჯავრი მას, როგორც სიკვდილის თანამდებს. ზოგიერთებმა დაუწყეს მას ფურთხება: სახე დაუბურეს და სცემდნენ და ეუბნებოდნენ: იწინასწარმეტყველეო, და მსახურნი სილას აწნავდნენ.

როცა პეტრე ქვემოთ, ეზოში იყო, მივიდა მასთან მღვდელმთავრის ერთი მხევალთაგანი. დაინახა ცეცხლს მიფიცხებული პეტრე, დააკვირდა და უთხრა: "შენც იესო ნაზარეველთან ერთად იყავი." მან უარყო და თქვა: არ ვიცი და არც მესმის, რას ამბობ. და პეტრე გავიდა ეზოს გარეთ, და იყივლა მამალმა.

მხევალმა დაინახა იგი და კვლავ უთხრა იქ მდგომებს: ესეც იმათგანიაო. მან კვლავ უარყო. მცირე ხნის შემდეგ იქ მდგომება კვლავ უთხრეს პეტრეს: "ნამდვილად იმათგანი ხარ. რადგან შენც გალილეველი ხარ, კილოზე გეტყობა."

და დაიწყო მან თავის წყევლა და ფიცილი: არ ვიცნობ ამ კაცს, ვისზეც მელაპარაკებითო. მყისვე მეორედ იყივლა მამალმა და პეტრეს გაახსენდა სიტყვა, რომელიც იესომ უთხრა. სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფო. გაახსენდა და ატირდა.

**მათე 27:3-5** როცა იუდამ, მისმა გამცემმა, დაინახა, რომ მას მსჯავრი დასდეს, ინანა და უკან მიუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებს და უხუცესებს. და უთხრა: "შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი." მათ უთხრეს: "ჩვენ რა? შენ იცი." და დაყარა ვერცხლი ტაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.



**იოანე 18:28-19:16**

კაიაფასაგან იესო პრეტორიაში წაიყვანეს. ადრე იყო და პრეტორიაში არ შესულან, რათა არ გაუწმინდურებულიყვნენ, რომ პასექის ჭამა შესძლებოდათ. გამოვიდა პილატე მათთან გარეთ და თქვა: "რა ბრალს სდებთ ამ კაცს?" მიუგეს და უთხრეს: "ეს რომ ბოროტის მოქმედი არ იყოს, არ გადმოგცემდით." უთხრა მათ პილატემ: "წაიყვანეთ თქვენთან და მსჯავრი დასდეთ თქვენი რჯულის მიხედვით." უთხრეს მას იუდეველებმა:"ჩვენ ნება არ გვაქვს ვინმე მოვკლათ." (რათა აღსრულდეს იესოს სიტყვა, რომელიც თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო.) პილატე კვლავ შევიდა პრეტორიაში, იესოს მოუხმო და უთხრა: "შენ ხარ იუდეველთა მეფე?" მიუგო იესომ "შენით ამბობ ამას , თუ სხვებმა გითხრეს ჩემზე?" მიუგო პილატემ: "განა მე იუდეველი ვარ? შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი. რა ჩაიდინე?" მიუგო იესომ: "ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა. ჩემი სამეფო რომ ამ წუთისოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავვარდნოდი. არა, ჩემი სამეფო არ არის სააქაო." უთხრა მას პილატემ:


მაშინ
შენ მეფე ხარ?
დიახ,
ვარ!
ამისათვის დავიბადე
და მოვედი ამ ქვეყნიერებაზე
რომ ჭეშმარიტება
დამემოწმებინა. ყველა ვინც
ჭეშამრიტების მხარესაა
ისმენს ჩემსას.
ჭეშამრიტება?
რა არის ჭეშმარიტება?

აშკარაა რომ საქმე არა
მაქვს საშიშ აგიტატორთან, არამედ
ფილოსოფოსის მსგავსთან ... ან ფანატიკთან ... მაგრამ
ფარისეველების აღშფოთებას ამ იესოს წინააღმდეგ სხვა
მიზეზი უნდა ჰქონდეს, საიდუმლო მიზეზი ... უნდა
ვიფიქრო ამაზე ... რადგან არ მინდა რომ
გამომიყენონ, მანიპულაციით.

წაიყვანეთ ბრალდებული
დაცვის ოთახში!

ჰეი, ის
მოდის ვინც ფიქრობს
რომ მეფეა!
მეფე?

თქვენო უდიდებულესობავ,
აქ მობრძანდით! გვინდა რომ
გავერთოთ...

"ესე იგი, მეფე ხარ." მიუგო იესომ: "შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა. ყველა, ვინც ჭეშმარიტებიდანაა, ისმენს ჩემს ხმას." უთხრა მას პილატემ: "რა არის ჭეშმარიტება?" ეს რომ თქვა, კვლავ გამოვიდა და უთხრა მათ: "ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში." ხომ გაქვთ ჩვეულება, რომ პასექზე ერთი გაგითავისუფლოთ. გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ იუდეველთა მეფე? მაშინ კვლავ აყვირდნენ და თქვეს: "ეს კი არა, ბარაბა. ბარაბა კი ავაზაკი იყო. მაშინ წაიყვანა პილატემ იესო და გააშოლტვინა. ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწნეს და თავზე დაადგეს, და ძოწეული მოასხეს.მიდიოდენ მასთან და ეუბნებოდნენ: გიხაროდესო, იუდეველთა მეფევ, და სახეში სცემდნენ. კვლავ გამოვიდა პილატე გარეთ და უთხრა მათ: "აჰა, მე გამომყავს იგი თქვენთან, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში." მაშნ იესო გამოვიდა გარეთ, ეკლის გვირგვინით და ძოწეულით შემოსილი, და უთხრა მათ პილატემ: "აჰა, კაცი!"

ხვალ დიდებული შაბათი იქნება (უფუარობის დღესასწაული), ებრაელების ყველაზე წმინდა ეროვნული დღესასწაული...
... და სასახლის ეზო შენი ნახვის მსურველი ხალხით ივსება ...
... და მოელოდე რომ მათი სურვილისამებრ გაათავისუფლებ ერთ პატიმარს.
ვიცი და გეგმაცა მაქვს.
ჩვენ ყველა შევთანხმდით, რომ ბარაბას გაათავისუფლებ!
შეთანხმდით! ბარაბა!
მოჯანყე და უშიშარი, გამოიყენოს ნებისმიერი ტერორისტული ტაქტიკა რომაელების განსადევნად.
ჩვენ ზელოტებს ბარაბასნაირი კაცი გვჭირდება!
იერუსალიმის მცხოვრებნო! დაწყნარდით! ჩვენ გვინდა რომ ვიზეიმოთ თქვენი დღესასწაული მშვიდობით და გვჯერა, რომ ყველა მომლოცველს გულთბილად მიიღებთ.


შეგახსენებთ რომ, რომაელთა ჯარი გაძლიერებულია და ანტონიის ციტადელიდან იყურება ნებისმიერი პრობლემის ჩასახშობად.
საბოლოოდ, უფუარობის დღესასწაულის ჩვეულებისამებრ, მე ვათავისუფლებ ერთ პატიმარს, თქვენი რჩეულებისამებრ.
ორი მათგანი არის ყველაზე კარგად ცნობილი: იესო და ბარაბა. რომელი მათგანი გნებავთ, რომ გავათავისუფლო?
მოგვეცი ბარაბა!
სიცოცხლე ბარაბას!
გაათავისუფლეთ ბარაბა!
სწორად გავიგე, რომ იგი იესო ნაზარეველზე, დიდ წინასაწარმეტყველზე ლაპარაკობდა? რომაელებმა დაიჭირეს?
როდის? და რა მიზეზით?
ამკარაა, რომ ხალხი არ არის ინფორმირებული... მაშინ ისინი მოვიდოდნენ და იესოს სასარგებლოდ მისცემდნენ ხმას.
უმეტესად ზელოტები და უცხოელები არიან!
რა უცნაური ხალხია! ბრძენ და უდანაშაულო ადამიანს მოჯანყეს ამჯობინებენ!
მე ვიფიქრე, რომ ფარისეველების გეგმის წინააღმდეგ გადავდგამდი ნაბიჯს!

სიჩუმე! ორი პატიმარი გამოვიყვანე, დაინახეთ და მიიღეთ უკეთესი გადაწყვეტილება.
დაცვა! მოიყვანეთ ბარაბა და იესო აქ!
შეხედე ამ კაცს!
არა, იესოს კი არა, ბარაბას!
ბარაბას! ბარაბა გვინდა! გაათავისუფლეთ!
ჯვარს აცვით! ჯვარს აცვით იესო! ის იმსახურებს სიკვდილს!
დიახ, დაიძახეთ ბარაბა! ამით ერს დიდ სამსახურს გაუწევთ!
იესო მაცდუნებელი! ის ხალხს ატყუებს! ის სიკვდილს იმსახურებს!
ბარაბას!
ბარაბას!
არ გრცხვენიათ, იესო ნაზარეველის სიკვდილით დასჯის?
წინასწარმეტყველი, რომელიც ავადმყოფებს კურნავს, ბრმებს და პარალიზებულებს ... და იმედს აძლევს ღარიბებს, დაჩაგრულ და სასოწარკვეთილ ხალხს?



როდესაც იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, იყვირეს: “ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!” უთხრა მათ პილატემ: “თავად წაიყვანეთ და ჯვარს აცვით, ვინაიდან მე ვერ ვპოულობ მასში დანაშაულს.” მიუგეს იუდეველებმა: “ჩვენ გვაქვს რჯული და ჩვენი რჯულის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, ვინაიდან თავი ღვთის ძედ გაიხადა.” ეს სიტყვა რომ მოისმინა პილატემ, უფრო შეშინდა, კვლავ შევიდა პრეტორიაში და უთხრა იესოს: “საიდან ხარ?” მაგრამ იესომ პასუხი არ გასცა. უთხრა მას პილატემ: “მე არ მცემ ხმას? განა არ იცი, რომ ხელმწიფება მაქვს შენს ჯვარცმაზე?” მიუგო იესომ: “არავითარი ხელმწიფება არ გექნებოდა ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა შენ, უფრო დიდი ცოდვა აქვს.” ამის შემდეგ პილატე ცდილობდა მის გათავისუფლებას, მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: “თუ ამას გაათავისუფლებ, არა ხარ მეგობარი კეისრისა, რადგან, ვინც მეფედ ხდის თავს,



კეისარს ეწინააღმდეგება.” პილატემ რომ ეს სიტყვა მოისმინა, იესო გარეთ გაიყვანა და დაჯდა მსაჯულის ტახტზე, ადგილზე, რომელსაც ქვაფენილი ეწოდებოდა, ებრაულად კი გაბეთა. პასექის პარასკევი იყო, იქნებოდა მეექვსე საათი, და უთხრა იუდეველებს: “აჰა, თქვენი მეფე.” მათ კი იყვირეს: “შორს, შორს, ჯვარს აცვი!” პილატემ უთხრა: “თქვენი მეფე ვაცვა ჯვარს?” მღვდელმთავრებმა უპასუხეს: “ჩვენ არ გვყავს მეფე, კეისრის გარდა!” მაშინ გადასცა იგი მათ ჯვარზე საცმელად და წაიყვანეს იესო.

იმ დღეს სამი კაცის სიკვდილით დასჯა შედგა ... და ჩვეულების მიხედვით, ყოველი დამნაშავე მათრახით უნდა ეცემათ.

ახლა იესომ უნდა ატაროს თავისი ჯვრის ძელი, კისერზე წარწერით, სასჯელის მითითებით.

IESVS NAZARENVS
REX IVDAEORVM
სამწუხარო პროცესია გადაადგილდა...
გაიწიეთ! გაგვატარეთ!
ვინ არის ეს?
მგონი იესო ნაზარეველია ... ცნობილი წინასწარმეტყველი!

აქ ვხედავთ კაცს, რომელმაც მხოლოდ კარგი გააკეთა; ავადმყოფებს კურნავდა, ღარიბებს და დაჩაგრულებს იცავდა.ოჰ, რა საშინელი უსამართლობაა!
ფარისეველებს სძულდათ იგი, რადგან ჭეშმარიტებას ლაპარაკობდა და ავლენდა მათ უსამართლობას!
ვაი, მათ! სიძულვილის გამო გადასცეს რომაელებს.
დაბლა ეცემა!
ის სუსტია თავისი ჯვრის სატარებლად; ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა მათრახით ცემისას.
ჰეი, შენ! გიბრძანებ, რომ შენ ატარო ამ მსჯავრდებულის ჯვარი გოლგოთამდე! ეს ბრძანებაა! ეხლავე, დაემორჩილე!
მე? ... მაგრამ მე იერუსალიმიდან არა ვარ! მე, მართალი კაცი ვარ!
გამოიჩინე სიბრძნე და ნუ იტყვი უარს, თორემ ინანებ. რომაელები უხეშები არიან და ამასთან ერთად, გოლგოთა არც ისე შორსაა აქედან.
მე ვატარებ მას შენთვის! ადექი!
დაეხმარეთ, უდანაშაულოა! ის იესო ნაზარეველია, უდიდესი წინასწარმეტყველი!

**ლუკა 23:25-56** გაუშვა შფოთისა და მკვლელობისათვის საპყრობილეში ჩაგდებული, რომელსაც ისინი მოითხოვდნენ, იესო კი მათ ნებას გადასცა. როცა იგი მიჰყავდათ, გზაში დაიჭირეს ვინმე სიმონ კვირინელი, და აჰკიდეს ჯვარი, რომ ეტარებინა იესოს კვლალდაკვალ. მისდევდნენ მას დიდძალი ხალხი და დედაკაცები, რომლებიც ტიროდნენ და მოთქვანდნენ მის გამო.

იესო მიუბრუნდა მათ და უთხრა: "იერუსალიმის ასულნო, ნუ სტირით ჩემზე, არამედ თქვენ თავზე და თქვენ შვილებზე იტირეთ. რადგან, აჰა, მოდის დღეები, როცა იტყვიან: 'ნეტარ არიან უნაყოფონი და საშონი, რომელთაც არ უშვიათ, და ძუძუნი, რომელთაც არ უწოვებიათ!' მაშინ ეტყვიან მთებს:


როდესაც გოლგოთაზე ავიდნენ, მხეცურად შემოაძარცვეს ტანსაცმელი.
იქ დააწყვეთ ტანსაცმელი! მოგვიანებით გავინაწილებთ!

'დაგვემხეთ ზედ!' და ბორცვებს: 'დაგვფარეთ ჩვენ!' ვინაიდან თუ ნედლ ხეს ასე ექცევიან, ხმელს რაღას უზამენ?"

მასთან ერთად სასიკვდილოდ მიჰყავდათ სხვებიც-ორი ავაზაკი. როცა იმ ადგილას მივიდნენ, რომელსაც თხემის ადგილი ჰქვია, იქ ჯვარს აცვეს ისიც და ბოროტმოქმედნიც-ერთი მის მარჯვნივ და მეორე მის მარცხნივ.

იესო ამბობდა: "მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ." და გაიყვეს მისი სამოსელი წილისყრით. იდგა ხალხი და შეჰყურებდა, მთავრებიც დასცინოდნენ და ამბობდნენ: "სხვებს იხსნიდა, ახლა თავისი თავი იხსნას, თუ ეგ ქრისტეა, ღვთის რჩეული." ასევე ჯარისკაცებიც დასცინოდნენ მას, მიდიოდნენ და ძმარი მიჰქონდათ მასთან, ეუბნებოდნენ: "თუ იუდეველთა მეფე ხარ, იხსენი შენი თავი."

მის ზემოთ იყო წარწერა ბერძნული, რომაული და ებრაული სიტყვებით დაწერილი: "ეს არის იუდეველთა მეფე." ერთი ჩამოკიდებული ბოროტმოქმედი გმობდა მას: "განა შენ ქრისტე არა ხარ? იხსენი შენი თავი და ჩვენც." მიუგო მეორემ, გაუწყრა და თქვა: "ნუთუ ღვთისა არ გეშინია, როცა შენც იმავე სასჯელში ხარ? ჩვენ სამართლიანად დავიმსახურეთ, ვინაიდან ჩვენ რაც გავაკეთეთ, იმისი საკადრისი მივიღეთ, მაგას კი არაფერი უჯერო არ ჩაუდენია."

და თქვა: "იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მიხვალ." და უთხრა მას: "ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში."

დღის ექვსი საათი იქნებოდა და მთელი მიწა ბნელმა მოიცვა ცხრა საათამდე. დაბნელდა მზე და ტაძრის ფარდა შუაზე გაიპო.

და შესძახა იესომ დიდი ხმით და თქვა: "მამაო, შენს ხელთ გაბარებ ჩემს სულს." ეს თქვა და სული განუტევა. ასისთავმა რომ იხილა მომხდარი, ღმერთი ადიდა და თქვა: "ჭეშმარიტად, ეს კაცი მართალი იყო."

ამ სანახაობაზე შეკრებილი მთელი ხალხი, რომ ხედავდა, რაც ხდებოდა, გულში მჯიღის ცემით ბრუნდებოდა უკან. ყველა, ვინც მას იცნობდა, და დედაკაცები, გალილეიდან რომ მოჰყვნენ, მოშორებით იდგნენ და უყურებდნენ ამას. აჰა, ერთი კაცი, სახელად იოსები, საბჭოს წევრი, კეთილი და მართალი კაცი, რომელიც არ დაეთანხმა მათ თათბირსა და საქმიანობას, იუდეველთა ქალაქ არიმათიიდან, რომელიც მოელოდა ღვთის სასუფეველს, მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი. გარდამოხსნა იგი, გაახვია ტილოში და დაასვენა კლდეში გამოკვეთილ სამარხში, სადაც ჯერ კიდევ არავინ დაესვენებინათ.

ის დღე პარასკევი იყო და შაბათი დგებოდა. უკან გაჰყვნენ დედაკაცებიც, რომელნიც იესოსთან ერთად მოვიდნენ გალილეიდან, და უყურებდნენ სამარხს, როგორ დაიდო



მძიმე ქვა გადაგორებულია სამარხის შესასვლელიდან...

მისი გვამი. ამის შემდეგ დაბრუნდნენ, მოამზადეს სურნელებანი და ნელსაცხებელი. შაბათს კი მოისვენეს მცნებისამებრ.

**მარკოზი 16:1-7** შაბათი რომ გავიდა, მარიამ მაგდალელმა, მარიამ იაკობისამ და სალომემ იყიდეს სურნელებანი, რომ მისულიყვნენ და ეცხოთ მისთვის. შვიდეულის პირველ დღეს, დილაადრიანად მივიდნენ სამარხთან, მზის ამოსვლისას. ერთმანეთში ამბობდნენ: ვინ გადაგვიგორებს ლოდს სამარხის კარიდანო?

გაიხედეს და დაინახეს, რომ ლოდი გადაგორებულია, ძალიან დიდი კი იყო. და შევიდნენ სამარხში და დაინახეს მარჯვნივ მჯდომარე ჭაბუკი, სპეტაკი სამოსლით შემოსილი, და შეშფოთდნენ.

მან უთხრა მათ: "ნუ შეშფოთდებით! თქვენ ეძებთ ჯვარცმულ იესო ნაზარეველს. იგი აღსდგა, აქ არ არის, აჰა, ადგილი, სადაც ის დაასვენეს. მაგრამ წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: აჰა, წინ მიგიძღვით იგი გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას, როგორც ნათქვამი აქვს თქვენთვის."

**იოანე 20:1-15** ერთშაბათს, დილაადრიან, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, მივიდა მარიამ მაგდალელი სამარხთან და ხედავს, რომ ლოდი გადაგორებულია სამარხიდან. გაიქცა და მივიდა სიმონ-პეტრესთან და სხვა მოწაფესთან, რომელიც უყვარდა იესოს, და უთხრა მათ: "უფალი წაუღიათ სამარხიდან და არ ვიცით, სად დადეს."

მაშინვე გამოვიდნენ პეტრე და სხვა მოწაფე და მივიდნენ სამარხთან. ორივენი ერთად მირბოდნენ, მაგრამ მეორე მოწაფე პეტრეზე სწრაფად გაიქცა და პირველი მივიდა სამარხთან. დაიხარა და დაინახა დაწყობილი ტილოები, მაგრამ არ შესულა. მივიდა სიმონ-პეტრეც მის შემდეგ, და შევიდა სამარხში და დაინახა დაწყობილი ტილოები. სუდარა, თავზე რომ ეხვია, იმ ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე იყო დახვეული ერთ ადგილას. მაშინ შევიდა სხვა

მარიამ მაგდალელიც მოვიდა სამარხთან ...
გაოცებული და ნამტირალევი ...



მოწაფეც, სამარხთან პირველი რომ მივიდა, და იხილა და იწამა, რადგან აქამდე არ იცოდნენ წერილიდან, რომ იგი მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო. წავიდნენ კვლავ თავ-თავისთვის მოწაფეები.

მარიამი კი იდგა სამარხთან, გარეთ და ტიროდა. და მტირალი სამარხისაკენ დაიხარა, და დაინახა თეთრებში შემოსილი ორი ანგელოზი, მსხდომარენი ერთი თავთით და მეორე ფერხთით, სადაც იესოს გვამი ესვენა.

უთხრეს მას: "ქალო, რატომ სტირი?" ეუბნება მათ: "ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დადეს."ამის თქმისასა მოტრიალდა და დაინახა მდგომარე იესო, მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო.

ეუბნება მას იესო: "ქალო, რატომ სტირი, ვის ეძებ?" მას მებაღე ეგონა იგი და ეუბნება მას: "ბატონო, თუ შენ წაიღე, მითხარი, სად დადე და მე წამოვიღებ."

ჩემო ბატონო!
ნუ შემეხები...
... ჯერ მამასთან
არ ავსულვარ,
არამედ წადი და
უთხარი ჩემს
მოწაფეებს!
მეგობრებო, იესო
ვნახე, უფალი! ის
ცოცხალია! ის აღსდგა!
მოისმინეთ რაც მითხრა!
მარიამ
გრძნობები
გახრჩობენ!
იყავი
მგრძნობიარე
და რეალური. ეს
შეუძლებელია!
ფანტასტიურია!
ყველა ქალის
წარმოსახვა!

იმავე დღეს, საღამოს, ორი მოწაფე მიდიოდა იერუსალიმიდან ემაუსში ...
რა იმედგაცრუებაა! მჯეროდა იესოსი, რომ მესია იქნებოდა-მსოფლიო რომ ელოდებოდა.
ამის ნაცვლად სიკვდილი მიუსაჯეს და ჯვარს აცვეს, როგორც კრიმინალი!
დიახ, კლეოპას, რა იმედგაცრუებაა! მეც ისევე დაბნეული ვარ როგორც შენ ...
მშვიდობა, მეგობრებო! დამწუხრებულები ჩანხართ... რაზე მსჯელობთ?
ეცადეთ რომ ახსნათ; ვეცდები დაგეხმაროთ.
განა არ იცი რაც მოხდა იერუსალიმში ამ დღეებში, ყველა რომ გააოცა? იესო ნაზარეველის შესახებ?
ვიმედოვნებდით რომ ის იყო ის, ვინც ისრაელს გამოისყიდიდა! ...
... დიახ, ის ქრისტე იყო ...მაგრამ ყველაფერი დასრულდა.
ეს ... მესამე დღეა რაც ყველაფერი მოხდა და ახლა, ის მკვდარია.
ზოგიერთმა ჩვენმა ქალებმა გაგვაოცეს ...
... დღეს დილით ადრე სამარხში წავიდნენ ...

**ლუკა 24:13-43** და აჰა, იმავე დღეს ორი მათგანი მიდიოდა ერთ სოფელში, რომელიც სამოცი სტადიონით იყო დაშორებული იერუსალიმიდან და ერქვა ემაუსი. ისინი ერთმანეთში ლაპარაკობდნენ ყოველივე ამის გამო. ამ ლაპარაკსა და მსჯელობაში რომ იყვნენ, თავად იესო მიუახლოვდა და დაემგზავრა მათ. მაგრამ თვალები დაბმული ჰქონდათ და ვერ იცნეს იგი.

უთხრა მათ: "რაზე მსჯელობდით გზაზე ერთმანეთში?" ისინი შეჩერდნენ დაღონებულნი. მიუგო ერთმა მათგანმა, სახელად კლეოპამ და უთხრა მას: "ნუთუ შენ ხარ ერთი უცხო იერუსალიმში, რომ არ იცი, რაც იქ ამ დღეებში მოხდა?"

და უთხრა მათ: "რა მოხდა?" მათ უთხრეს მას: "იესო ნაზარეველზე ვლაპარაკობთ, რომელიც იყო კაცი წინასწარმეტყველი, ძლიერი საქმითა და სიტყვით ღვთისა და მთელი ხალხის წინაშე, როგორ გადასცეს იგი ჩვენმა მღვდელმთავრებმა და მთავრებმა სიკვდილის მისასჯელად და ჯვარს აცვეს. ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ იგი სწორედ ის იყო, ვისაც უნდა გამოეხსნა ისრაელი. ყველაფერი მასთან ერთად, უკვე მესამე დღეა, რაც ეს მოხდა. მაგრამ ზოგიერთმა ჩვენიანმა დედაკაცმა გაგვაოცა. ისინი დილაადრიან იყვნენ სამარხთან და ვერ იპოვეს მისი გვამი. მოვიდნენ და თქვეს, რომ იხილეს ჩვენება ანგელოზთა, რომელთაც უთქვამთ, ცოცხალიაო. ზოგიერთი ჩვენთაგანიც წავიდა სამარხისკენ და მართლაც, იგივე დაინახეს, რასაც დედაკაცები ამბობდნენ. ის კი ვერ ნახეს."

როცა მაგიდასთან დასხდნენ, მან აიღო პური, მადლობა შესნირა, გატეხა და მისცა მათ ...

... მაშინ მათ თვალები აეხილათ და იცვნეს იგი.

მაგრამ, მაშინვე გაუჩინარდა მათი ხედვიდან.

მან უთხრა მათ: “ჰოი, უგუნურნო და გულით მძიმენო, ყველაფრის იმის სარწმუნებლად, რასაც წინასწარმეტყველები ამბობდნენ! განა ასე არ უნდა ტანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?”

და დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მასზე ნათქვამს. მიუახლოვდნენ იმ სოფელს, სადაც მიდიოდნენ, ის კი თითქოს გზის გაგრძელებას აპირებდა. მაგრამ ისინი აკავებდნენ მას და ეუბნებოდნენ: "დარჩი ჩვენთან, ვინაიდან დღე უკვე მიიწურა და მწუხრი ჩამოდგა." ისიც შევიდა რომ დარჩენილიყო მათთან.

როცა მათთან იჯდა, აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მიაწოდა მათ. მაშინ თვალი აეხილათ და იცნეს. მაგრამ ის უჩინარი შეიქმნა მათთვის. უთხრეს ერთმანეთს:

"განა არ გიზგიზებდა ჩვენი გული ჩვენში, როცა გზაში გველაპარაკებოდა და როცა წერილებს განგვიმარტავდა?" ადგნენ იმავე ჟამს და დაბრუნდნენ იერუსალიმში, მონახეს შეკრებილნი თერთმეტნი და მათთან მყოფნი, რომელნიც ამბობდნენ, რომ უფალი ჭეშმარიტად აღსდგა და ეჩვენა სიმონს. მათაც უამბეს გზაში მომხდარი და ისიც, როგორ იცნეს იგი პურის გატეხისას.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, თვითონ იესო ჩადგა მათ შუა და უთხრა: "მშვიდობა თქვენდა!" შეძრწუნებულებსა და შეშინებულებს ეგონათ, რომ სულს ხედავდნენ. მაგრამ მან უთხრა: "რატომ შეძრწუნდით და რატომ გებადებათ გულში ასეთი კითხვები? შეხედეთ ჩემს ხელებსა და ჩემს ფეხებს. ეს მე ვარ თვითონ. შემეხეთ მე და ნახეთ, რადგან სულს არა აქვს ხორცი და ძვლები. მე კი მაქვს, როგორც ხედავთ."

ეს რომ უთხრა, უჩვენა მათ ხელები და ფეხები. რადგან სიხარულისაგან მათ ჯერ კიდევ არ ეჯერებოდათ და გაკვირვებულნი იყვნენ, უთხრა მათ: "გაქვთ აქ რამე საჭმელი?" მათ მიაწოდეს მას შემწვარი თევზის ნაჭერი და თაფლის გოლეული. გამოართვა და შეჭამა მათ წინაშე. ხოლო მორჩენილი აიღო და მისცა მათ.

**იოანე 20:19-29** იმავე დღის საღამოჟამს, ერთ შაბათს, როცა იუდეველთა შიშის გამო დაკეტილი იყო კარი, სადაც მოწაფეები იყვნენ, მივიდა იესო და დადგა შუაში, და უთხრა მათ: "მშვიდობა თქვენდა!" ეს რომ თქვა, უჩვენა ხელებიცა და ფერდიც. მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით.

კვლავ უთხრა მათ იესომ: "მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ." ეს რომ თქვა სული შეუბერა და ეუბნება: "მიიღეთ სული წმინდა. ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ. ვისაც დაუკავებთ დაეკავებათ."

თომა, ერთი თორმეტთაგანი, ტყუპისცალად წოდებული, არ იყო მათთან, როცა იესო მოვიდა. უთხრეს მას სხვა მოწაფეებმა: "ჩვენ ვიხილეთ უფალი." მან უთხრა მათ: "თუ მის ხელებზე ნალურსმევს არ ვიხილავ და ნალურსმევში საკუთარ თითს არ ჩავყოფ და მის ფერდში-საკუთარ ხელს, არ ვიწამებ!"




რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შინ იყვნენ
და თომაც მათთან იყო. შევიდა იესო ჩაკეტილ კარებში, დადგა
შუაში და თქვა: “მშვიდობა თქვენდა.” მერე თომას ეუბნება. “მოიტა
აქ შენი თითი და გასინჯე ჩემი ხელები. მოიტა შენი ხელი და ჩადე ჩემს
ფერდში. ურწმუნო კი ნუ იქნები, მორწმუნე იყავ.”

მიუგო თომამ და უთხრა მას: “უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!” ეუბნება
მას იესო: “შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე. ნეტარ არიან ისინი,
ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს.”




**იოანე 21:1-19** ამის შემდეგ კვლავ გამოეცხადა იესო მოწაფეებს ტიბერიის გზაზე. ასე გამოეცხადა: ერთად იყვნენ სიმონ-პეტრე, ტყუპისცალად წოდებული თომა, ნათანაელი გალილეის კანიდან, ზებედეს ძენი და ორი მისი სხვა მოწაფეთაგანი ეუბნება მათ სიმონ-პეტრე: "სათევზაოდ მივდივარ." უთხრა მას: "ჩვენც წამოგყვებით." გავიდნენ და ჩასხდნენ ნავში. იმ ღამეს ვერაფერი დაიჭირეს.

უკვე გათენებულიყო და, იესო იდგა ნაპირზე, მოწაფეებმა კი არ იცოდნენ, რომ ეს იესო იყო. ეუბნება მათ იესო: "შვილებო, რა გაქვთ

საჭმელი?" მიუგეს მას: "არა." უთხრა მათ: "ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით." ისროლეს და ვეღარ გამოათრიეს თევზის სიმრავლის გამო.

მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს, ეუბნება პეტრეს: "ეს უფალია." სიმონ-პეტრემ რომ გაიგონა, უფალიაო, მოსასხამი მოიხვია, რადგან შიშველი იყო, და ზღვაში გადაეშვა. სხვა მოწაფეები კი პატარა ნავით მოვიდნენ, რადგან შორს არ იყვნენ ხმელეთიდან, ასე ორას წყრთაზე, და გამოათრიეს ბადე თევზიანად. ხმელეთზე რომ გამოვიდნენ, ნახეს დაწყობილი ნაკვერჩხლები და მათზე დადებული პური და თევზი.

ეუბნება მათ იესო: “იმ თევზისა მოიტანეთ, ახლა რომ დაიჭირეთ.” წავიდა სიმონ-პეტრე და ხმელეთზე გამოათრია ბადე, სავსე ასორმოცდაცამეტი დიდი თევზით და, სიმრავლის მიუხედავად, ბადე არ გახეულა. ეუბნება მათ იესო: “მოდით, ისაუზმეთ.” მოწაფეთაგან ვერცერთმა ვერ გაბედა, ეკითხა, ვინ ხარო, რადგან იცოდნენ, რომ უფალი იყო. მივიდა იესო, აიღო პური და მისცა მათ, ასევე თევზიც. ეს უკვე მესამედ გამოეცხადა უფალი მოწაფეებს, მკვდრეთით აღმდგარი.

რომ ისაუზმეს, იესო ეუბნება სიმონ-პეტრეს: “სიმონ იოანესო, ამათზე მეტად გიყვარვარ?” ეუბნება მას: “დიახ, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ.” ეუბნება მას: "აძოვე ჩემი კრავები.”

მოწაფეებმა დაინახეს ზეთისხილის მთაზე ზეცად
აღმავალი იესო, რომელიც უკან დაბრუნდება იმავე გზით.

## ძალიან მალე!

ეუბნება მას კვლავ მეორედ: "სიმონ იოანესო, გიყვარვარ?" ეუბნება მას: "დიახ, უფალო, შენ იცი რომ მიყვარხარ." ეუბნება მას: "დამწყემსე ჩემი ცხვრები."

ეუბნება მას მესამედ: "სიმონ იოანესო, გიყვარვარ?" პეტრე დაღონდა, მესამედ რომ უთხრა: "გიყვარვარ"? და ეუბნება მას: "უფალო, შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ მიყვარხარ!" ეუბნება მას იესო: "აძოვე ჩემი ცხვრები. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა. როცა დაბერდები, გაშლი ხელებს და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს." ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს. ეს რომ თქვა, უთხრა: "მომყევი."

მათე 28:16,20 ხოლო თერთმეტი მოწაფე წავიდა გალილეაში იმ მთაზე, რომელიც იესომ დაუთქვა მათ. ნახეს იგი და თაყვანი სცეს, ზოგი კი ეჭვობდა. და მივიდა იესო, ელაპარაკა და უთხრა: "მე მომეცა მთელი ხელმწიფება ცაში და მიწაზე. ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სული წმინდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. და, აჰა,მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის აღსასრულამდე."

# ღმერთის სიყვარული შენთვის

რამე თუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაილუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. (იოანე 3:16)

მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. (რომ. 5:8) ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას. (რომ. 3:23)

ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია დმერთსა და კაცთა შორის შუამავალი-კაცი ქრისტე იესო. (1 ტიმოთე 2:5)

ხოლო თუ ნათელში დავდივართ, როგორც ის არის ნათელში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან, და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან. თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უკეთურებისაგან. (1 იოანე 1:7-9)

ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენით კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია, არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხოს, (ეფეს. 2:8,9)

ღმერთო, მემოწყალე, მე ცოდვილი. (ლუკა 18:13)

ირწმუნე, უფალი იესო და გადარჩები. (მაქმეები 16:31)

# კარგი ამბავი ის არის: იესო აღსდგა მკვდრეთით ის ცოცხალია!

ლოცვა:

იესო, მე მჯერა მთელი ჩემი გულით, რომ ჩემი ცოდვებისთვისაც მოკვდი.

მე ვაღიარებ ყველა ჩემს ცოდვას და გთხოვ პატიებას.

მოდი და იცხოვრე ჩემს გულში.

ამის შემდეგ შენ უნდა იცხოვრო ჩემს ცხოვრებაში:

არა ჩემი ნებით, არამედ შენი ნებისამებრ.

მადლობას გიხდი რომ გსურს იყო ჩემი მხსნელი.

ამინ!

# სარჩევი


პილატე პონტოელი-გვერდი . . . . . 2
იოანე ნათლისმცემელი-გვერდი . . . . . 4
მერი და ელიზაბეტი-გვერდი . . . . . 8
მერი და იოსები-გვერდი . . . . . 15
იესოს შობა-გვერდი . . . . . 17
ვარსკვლავთმრიცხველები-გვერდი . . 21
პირველი მოწაფეები-გვერდი . . . . . 25
ქორწილი კანაში-გვერდი . . . . . 27
ქადაგება ნავში-გვერდი . . . . . 30
განკურნების სასწაულები-გვერდი . . 34
მებაჟე-გვერდი . . . . . 36
სახურავში-გვერდი . . . . . 37
სადილად ფარისეველთან-გვერდი . . 40
მკვდარი ბიჭის გაღვიძება-გვერდი . 41
ბრბოს გამოკვება-გვერდი . . . . . 44
მოწაფეებთან-გვერდი . . . . . 46
იერუსალიმში-გვერდი . . . . . 47
ეშმაკი ცდის იესოს-გვერდი . . . . . 49
გარდასახვა-გვერდი . . . . . 51
ბზობის კვირა-გვერდი . . . . . 53
ფარისეველის შეხვედრა-გვერდი . . . . 59
იუდა ისკარიოტელი-გვერდი . . . . . 60
სერობა-გვერდი . . . . . 61
გეთსიმანიის ბაღში-გვერდი . . . . . 69
სასამართლო სხვადასხვის წინაშე-გვერდი . . . . . 73
სასამართლო პილატეს წინაშე-გვერდი . . . . . 79
გოლგოთის გზაზე-გვერდი . . . . . 80
იესოს ჯვარცმა-გვერდი . . . . . 92
საფლავში დაკრძალვა-გვერდი . . . . 96
ცარიელი საფლავი-გვერდი . . . . . 97
იესო ეცხადება მოციქულებს-გვერდი . 99
ბოლო დიდი თევზის დაჭერა-გვერდი . 107
ჩემი ლოცვა . . . . . 111



მთარგმენლი: ლალი ჰანმეური
რედაქტორი: თეა ხაცარაშვილი

Originally published in English under the title: He Lived Among Us
This book can be seen on internet in various languages. www.gospelcomics.com

Scripture taken from the HOLY BIBLE.



© 2011 for the Georgian edition by Voice of the Martyrs.
Translated by permission. All rights reserved.



This project is a joint production by Voice of the Martyrs and OM EAST.